ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N112/გ

ქალაქი მცხეთა 11 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში „შემსყიდველი“, ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ ნემსიწვერიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „LLGA GROUP”-ის სირექტორის ლერი ოყუჯავას სახით, შემდგომში „მომწოდებელი”, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. 2016 წლის მცხეთობის დღესასწაულთან დაკავშირებით ფეიერვერკის შესყიდვა, თანმდევი მომსახურებით (CPV24613200).

2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების ღირებულებაა 2000 (ორი ათასი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 სამუშაო დღეში.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:

4.2 გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი.

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება_ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-12 მუხლში მითითებული პირი/პირები).

6.2 მიმწოდებლის მიერ განხორციელებული მომსახურების შედეგად წარმოქმნილი დაზიანება აღმოფხვრილი უნდა იყოს მიმწოდებლის მიერ.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების

პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

12. ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის წამყვანი სპეციალისტი თენგიზ ხუციშვილი.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მომწოდებელი
ქ.მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „LLGA GROUP"
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.7	მის: ქ.თბილისი, მილორავას ქ.N4
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს.თიბისი ბანკი
ხაზინის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022	ა/ნ GE14TB7809 1360 2010 0001
ს/კ 236098833	ს/კ 404410598
ელ-ფოსტა: mtskhetacity.hall@gmail.com	ტელ:577907374
ტელ: 251 21 70	
ა. ნემსიწვერიძე	დირექტორი ლ. ოყუჯავა

ქალაქი მცხეთა 11.10.2016წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს (შპს „LLGA GROUP” ს/კ 404410598).

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ ნემსიწვერიძე

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების, კულტურის, ტურიზმის,
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა
სამსახურის წამყვანი სპეციალისტი თენგიზ ხუციშვილი